

ინსტიტუტი ტექნიკური

**2014 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

დირექტორი - ნელი მახვილაძე ტექნიკის აკადემიური დოქტორი

სამეცნიერო პერსონალური შემადგენლობა:

ჩუბინიშვილი თეიმურაზი	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი-განყოფილების ხელ.
ჩობანიანი ლევონ	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი-განყოფილების ხელ.
წოწკოლაური ფიქრია	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
კოპალეიშვილი მადონა	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
მახვილაძე ნელი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ჩხაიძე ნანი	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
გოგობე იოსებო	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
პავლოვიჩი ევა	მეცნიერი თანამშრომელი
მისაბიშვილი ეკატერინე	მეცნიერი თანამშრომელი
ბედინაშვილი ირინე	მეცნიერი თანამშრომელი
თავხელიძე ვალერი	მეცნიერი თანამშრომელი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2014
წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
---	---	-----------------------	------------------------

1	<p>პროგრამა I.</p> <p>სამეცნიერო და საინოვაციო ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის პირველად მონაცემთა ინფორმაციული ნაკადების ფორმირების პროცედურების სრულყოფა და მონაცემთა ბაზებისა და სხვა საინფორმაციო ფონდების ფორმირება</p>	<p>თეიმურაზ ჩუბინიშვილი</p> <p>ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზ.-მათ. აკადემიური დოქტორი</p> <p>ნელი მახვილაძე</p> <p>ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი</p>	<p>მ.კოპალეიშვილი, ი.ბედინაშვილი მღებდევანა, თ.მალდაკელიძე, ე.მისაბიშვილი დ. გაბუნია ც.დოსმიშვილი ვ.სარჯველაძე, ნ.ჯავახიძე, ნ.ჩხაიძე, მ.დოღელიანი, ე.პავლოვიჩი ნ.შოთაშვილი დ.დუმბაძე, ლ. ახვლედიანი, მ. წიკლაური,</p>
---	---	---	---

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სამეცნიერო-ინოვაციური სისტემის რეორგანიზაციის განხორციელების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შემდგომში სამართავ გადაწყვეტილებათა მიღება აუცილებელია ეფუძნებოდეს სისტემაში შექმნილი მდგომარეობის ამსახველ ინფორმაციას. ამ მიზნით მაკროეკონომიკურ მონაცემებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ინფორმაცია ქვეყანაში წარმოებული სამეცნიერო პროდუქციის შესახებ. სამეცნიერო პროდუქციის ქვემოთ იგულისხმება მეცნიერთა კვლევები, მათი შედეგები, პატენტები, საინოვაციო წინადადებები და ა.შ. ინფორმაციის ეს ორი სახეობა (მაკროეკონომიკური მონაცემები და ინფორმაცია ქვეყანაში წარმოებული სამეცნიერო პროდუქციის შესახებ) წარმოადგენს ქვეყანაში სამეცნიერო და საინოვაციო სფეროების არსებული მდგომარეობის აღწერის, ანალიზის, პერსპექტიული მიმართულებების დადგენის, მათი ფინანსირების, ადმინისტრაციულ-ინსტიტუციუნალური მოწყობის და დარგის განვითარების სხვა ხელშემწყობი სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღების ინფორმაციულ საფუძველს. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია პირველადი ინფორმაციის მოძიება-მოპოვება. მაკროეკონომიკურ მაჩვენებლების დასადგენად ქვეყნის სტატისტიკური სამსახური პირველად ინფორმაციას იღებს სახელმწიფო კანონებით რეგლამენტირებული პროცედურების მეშვეობით. ამისგან განსხვავებით, სამეცნიერო პროდუქციის შესახებ პირველადი ინფორმაციის მოპოვება ხდება ყოველგვარი რეგლამენტაციის გარეშე, რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე სრულად ჩამოიშალა სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის სფეროში ადრე არსებული საინფორმაციო ნაკადების ფორმირების და შესაბამისად პირველადი ინფორმაციის მოპოვების სისტემა. რეფორმირების პროცესში არსად არ განიხილებოდა და ახლაც არ განიხილება სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის საინფორმაციო შემადგენელი, კერძოდ ისეთი სპეციფიური და მეტად მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა სამეცნიერო პროდუქციის აღრიცხვა - რეგისტრაცია, შენახვა, ანალიზი და სინთეზი, გავრცელება. მაგალითად, საქართველოს ახლადმიღებულ კანონში დოკუმენტის

სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ (2645-რს 2014წ 1 აგვისტო) დოკუმენტის მიმღებთა შორის არ არის გათალისწინებული ტექნიფორმი. ამის გამო ისეთი მცირეტირაჟიანი ან არატირაჟირებადი სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტები როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარე და დასრულებული კვლევების გეგმები, დასრულებული კვლევების ანგარიშები, დაცული დისერტაციები და მათი ავტორეფერატები, დეპონირებული შრომები (კვლევების გამოუქვეყნებელ შედეგები) არ მიეწოდება ტექნიფორმს, თუმცა მას ევალება სამეცნიერო სფეროში ზემოდ ხსენებული ყველა საინფორმაციო ქმედებების შესრულება. ამის გამო მიმდინარე და დასრულებული კვლევების, აგრეთვე დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაციის ტექნიფორმისათვის გადაცემის უზრუნველსაყოფად შემუშავდა საქართველოს 2014 წლის ბოლოს გამოცემულ შესაბამის კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. მანამდე, 2013 წელს შემუშავდა ამ ინფორმაციის ტექნიფორმისათვის აუცილებელი გადაცემის უზრუნველყოფის ნორმატიული დოკუმენტის პროექტი და რეგისტრაციის პროცედურის გასამარტივებლად შეიქმნა კვლევების რეგისტრაციის on-line სისტემა, რომლის დახვეწა ახლაც მიმდინარეობს. ამჟამად ასეთი დოკუმენტის არ არსებობის გამო საანგარიშო და წინა წლებში (1998 წლიდან დღემდე) ვერ ხერხდებოდა და ახლაც ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის სისტემატური მიღება ყველა კვლევითი ორგანიზაციიდან. იგივე ვითარებაა დისერტაციების ავტორეფერატების მოპოვების საქმეში. მიუხედავად ამისა, ისევე როგორც წინა წლებში, საანგარიშო წლებშიც მიმდინარეობდა შესაბამის მონაცემთა ბაზების განახლება.

რაც შეეხება დეპონირებას, აქ პირველადი ინფორმაციის მოპოვების პრობლემა არ არსებობს, რადგან საქართველოში კვლევების გამოუქვეყნებელი შედეგების დაფიქსირება/რეგისტრაცია დეპონირებული სამეცნიერო შრომის სახით (საერთაშორისო წესების დაცვით) ხდება მხოლოდ ტექნიფორმში. რაც გულისხმობს სპეციალურ ექსპერტიზის გავლას, შესაბამისი დოკუმენტაციების წარმოდგენას და რეფერატულ ჟურნალში განთავსებას. ნაშრომს რეგისტრაციის შემდეგ ენიჭება დეპონირებული სტატიის (ნაშრომის) სტატუსი. ამჟამად დეპონირებაზე წარმოდგენილი შრომების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა (70-იან, 80-იან წლებთან შედარებით). ამის მიზეზია ის, რომ საქართველოში სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისას, სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობისას მეცნიერთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნუსხაში დეპონირებული შრომა აღარ ითვლება გამოქვეყნებულ ნაშრომად.

ძნელადმოსაპოვებელ პირველად ინფორმაციას მიეკუთვნება აგრეთვე მონაცემები მეცნიერ-ექსპერტთა შესახებ, რომელიც განთავსებულია ტექნიფორმის საიტზე ელექტრონულ კატალოგში ქართულ და ინგლისურ ენებზე. საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ამ ინფორმაციის მოპოვება და არსებულ მონაცემთა განახლება. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საექსპერტთა კვლევის სფეროს განსაზღვრას, საკონტაქტო მონაცემებს, პუბლიკაციებს, პატენტებს.

საანგარიშო პერიოდში ტექნიფორმმა, როგორც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის - FAO-ის ეროვნულმა სადეპოზიტო ბიბლიოთეკამ, შეიმუშავა და თავის საიტზე განათავსა საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივად განახლებადი კატალოგი, რომელიც საძიებო ფუნქციასთან ერთად საშუალებას იძლევა მოძიებული ლიტერატურის სრულტექსტიანი ელექტრონული ვერსიის მიღებას on-line რეჟიმში.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ქართული რეფერატული ჟურნალის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების გამოცემა. 14 წლიანი გამოცდილებით დაგროვებული ფაქტების შესწავლამ წარმოაჩინა ის ხარვეზები, რაც ახასიათებს ქართულ სამეცნიერო ჟურნალების გამოცემებს. ამ ხარვეზების გამოსწორების მიზნით, შესწავლილი იქნა სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის უცხოეთის პრაქტიკა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, მომზადდა საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების აღწერილობები. ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალების გამომცემლებისათვის მოეწყო სემინარები. უნივერსიტეტის საიტზე განთავსდა სტანდარტების აღწერილობები. მომავალში დაგეგმილია რეკომენდირებული პირობების რეალიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საქართველოს მეცნიერთა და ინჟინერ-სპეციალისტთა მიერ შემუშავებული საინოვაციო წინადადებების მოძიება, ინფორმაციული დამუშავება და ელექტრონულ ფონდში განთავსება.

აღნიშნულ პერიოდში ხორციელდებოდა სამეცნიერო მონაცემთა ბაზის „საქართველოს კომპანიები - საქმიანი საქართველო“ შევსება-განახლება, აგრეთვე კომპაქტ-დისკების „BUSINES GEORGIA“, „მეცნიერება და განათლება“ ინფორმაციული განახლება.

სისტემატურად ხორციელდებოდა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საერთაშორისო საინფორმაციო ორგანიზაციებთან და მონაცემთა ბაზებთან თანამშრომლობა (VINITI, ICSTI, AGRIS, CACAARI).

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
2	პროგრამა II ქვეყნის ინოვაციურ შესაძლებლობათა და კულტურული ფასეულობათა ურთიერთ კავშირი - ემპირიული ანალიზი ECA რეგიონის ქვეყნებისთვის	ი.გოგოძე ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილება უფ.მეც.თ. ფიზ.-მათ. აკადემიური დოქტორი	ი. გოგოძე ნ. შოთაშვილი ნ. ბაჩილავა

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

სამუშაო შესრულებულია ტექნიკორმის განვითარების პერსპექტიული პროგრამის „სამეცნიერო და ინოვაციური სფეროების მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების შეფასება სტატისტიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით“ ფარგლებში კვლევის მიზანია შესწავლილი იქნას ურთიერთკავშირი რომელიც შესაძლოა არსებობდეს ქვეყნების ინოვაციურ შესაძლებლობებსა და მათთვის დამახასიათებელ კულტურულ ფასეულობებს შორის. ქვეყნების ინოვაციური შესაძლებლობების აღსაწერად გამოყენებულია ECAICI ინდიკატორი და მისი სუბინდიკატორები (იხ. Gogodze J. 2013¹), ხოლო კულტურულ ფასეულობათა აღსაწერად Hofstede-ის მიერ შემოთავაზებული ინდიკატორები (იხ. Hofstede G. 2001²). ანალიზი შემოიფარგლა მხოლოდ ევროპა-ცენტრალური აზიის (ECA) რეგიონით (რაც განპირობებულია იმით, რომ ECAICI ინდიკატორი კონსტრუირებულია მხოლოდ ECA რეგიონის ქვეყნებისთვის) და ECAICI ინდიკატორის (აგრეთვე მისი ქვეინდიკატორების) 2006-2010 წწ. ხუთწლიან ინტერვალზე გასაშუალოებული მნიშვნელობებით, რადგან კვლევის პროცესში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ არსებული Hofstede-ის კულტურულ ფასეულობათა ინდიკატორები 2008 წლის მდგომარეობით.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მაღალი სტატისტიკური საიმედოობით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნები რომელთა საზოგადოებები მეტად არიან ორიენტირებულნი თავშეკავებულობაზე ტკბობის სანაცვლოდ და ნაკლებად ორიენტირებულნი არიან ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაზე ხასიათდებიან უფრო მაღალი ინოვაციური შესაძლებლობებით ECA რეგიონში. სხვა კულტურული ინდიკატორები (ინდივიდუალიზმი, განუსაზღვრელობისთვის თავის არიდება, გრძელვადიანი ორიენტაცია, მასკულანიზმი) ეტყობა არ ახდენენ არსებით ზეგავლენას ინოვაციურ შესაძლებლობებზე მთლიანობაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასკულანიზმი საგრძნობ ზემოქმედებას ახდენს ცოდნის აბსორბცია-დიფუზიაზე (დადებითი მიმართულებით) და ადამიანური კაპიტალის წარმოებაზე (უარყოფითი მიმართულებით).

¹ Gogodze J. (2013). The Composite ECAICI: Positioning Of Georgias Innovative Capacities In The Europe-Central Asia Region; INTERNATIONAL JOURNAL OF SCIENTIFIC & TECHNOLOGY RESEARCH VOLUME 2, ISSUE 9, SEPTEMBER 2013

² Hofstede, G. (2001). Culture’s consequences: Comparing values, behaviors, institutions, and organizations across nations. Thousand Oaks, CA: Sage, 2nd Edition

	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
3	პროგრამა III. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განაწილებული მონაცემთა ბაზის ფორმირება მეტამონაცემების XML-ფაილების სტანდარტიზებული აღწერის საფუძველზე	ლ. ჩობანიანი – ტექნიკორმის საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, მეცნიერებათა დოქტორი.	ლ. ჩობანიანი, ვ. თავხელიძე ფ. წოწკოლაური

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

განათლების, მეცნიერების, საინოვაციო საქმიანობის სფეროების მართვისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების საშუალებათა არსებობა. 2014 წელს ჩატარებულია სამუშაოები პროექტირებული მონაცემთა ბაზების ობიექტების სტანდარტიზებული აღწერის მიმართულებით. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ობიექტების სისტემაში შესაყვანად (Application Profile) შემუშავდა სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია მეტამონაცემების საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც ინფორმაციის შეგროვების და მონაცემთა ბაზების სისტემაში ინფორმაციის შეტანის სამუშაოების სტანდარტიზებულად ორგანიზების შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ეს ამავე დროს საერთაშორისო საინფორმაციო სისტემებთან ინფორმაციის გაცვლის კარგი საშუალებაა.

შემუშავებული სქემა დაფუძნებულია მეტამონაცემების დამუშავების მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ ისეთ სტანდარტებზე, როგორცაა Dublin Core (DC), Australian Government Locator Service Metadata (AGLS), Agricultural Metadata Element Set (AgMES). მეტამონაცემების დამუშავების მიზნით სქემაში მითითებული სახელების სივრცე (namespace) ეფუძნება ზემოთხამოთვლილი სტანდარტების მეტამონაცემების ელემენტების ნაკრებს. სქემაში გამოიყენება კლასიფიკატორები (Subject Classification და Subject Thesaurus) საგნობრივი რუბრიკების და საკვანძო სიტყვების სტანდარტიზებისთვის, ცალკეული ელემენტების ფორმალიზებული წარმოდგენის წესები, მაგალითად, ლიტერატურის ნუსხა სტატიების მიხედვით, პუბლიკაციების თარიღები და სხვ.

XML-ფაილების შესაქმნელად დამუშავდა პროცედურა, რომელიც გამოიყენება ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა პუბლიკაციების ამსახველი ინფორმაციის აგრარული სამეცნიერო საინფორმაციო სისტემის AGRIS-ის მონაცემთა ბაზებში შესატანად. შემუშავებული პროცედურა SQL, EXCEL, ACCESS მონაცემთა ბაზებში განთავსებული ინფორმაციის კონვერტირების შესაძლებლობას იძლევა თავსებადობის ცხრილის საფუძველზე. ეს კი უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზებში არსებული სახელების სივრცე XML-ფაილების სახელების სივრცეში ასახვას.

ჩატარდა წინასაპროექტო კვლევა სამეცნიერო ციტირების ქართული ინდექსის დამუშავებისთვის, რომელიც დაფუძნებული იქნება XML-ფაილების გაცვლაზე შემუშავებული სქემის მიხედვით.

პროექტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა ბაზების სისტემის შექმნა, რომელიც ასახავს სრულ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას ქართველ მეცნიერთა მიერ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, აგრეთვე ქართულ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოცემებში პუბლიკაციების შესახებ, დაწყებული მე-20 საუკუნის შუახანებიდან.

ამასთან ერთად შემოთავაზებულია საქართველოში გამოქვეყნებული სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების სრული ტექსტების ელექტრონული ფონდის შექმნა. პროექტის ფარგლებში შემუშავებულმა პროგრამულმა საშუალებებმა უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო ორგანიზაციების, სამეცნიერო კოლექტივების, ავტორების, პუბლიკაციების რეიტინგის ოპერატიული შეფასების შესაძლებლობა. შემუშავებული სისტემა უნდა გახდეს საქართველოს სამეცნიერო ორგანიზაციების ერთიანობის, შედეგიანობის და ეფექტიანობის

სისტემის ფორმირების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტიაგანი.

მიმდინარე წელს განხორციელდა ქართველ მეცნიერთა მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიული აღწერების მონაცემთა ბაზების ინფორმაციით შევსების სამუშაოებიც, ინფორმაციით რომელიც ასახულია Web of Science მონაცემთა ბაზებში, 2014 წლის ნოემბრის მდგომარეობით. მონაცემთა ბაზების მეტამონაცემების საფუძველზე შეიქმნა XML-სქემა, რომლის მეშვეობით მიიღება XML-ფაილები, რომლებიც ასახავენ ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას ქართველ მეცნიერთა მიერ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ.

ფორმირებული მონაცემთა ბაზების საფუძველზე ჩატარდა ბიბლიომეტრული ანალიზი, აგრეთვე გამოკვლეულ იქნა Web of Science-ის და SCOPUS-ის მონაცემთა ბაზებში ასახული ქართველ მეცნიერთა პუბლიკაციების შესახებ არსებული ინფორმაციის სისრულე და ჩატარდა შედარებითი ანალიზი.

*** პუბლიკაციები:**

ა) საქართველოში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	მ.კოპალეიშვილი-მთ.რედ ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ლ.ჩობანიანი ფ.წოწკოლაური ვ.თაყსელიძე ი.ბედინაშვილი ვ.სარჯველაძე, ნ.ჩხაიძე, მ.ლოღელიანი,	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრუ) №12 (24); (პოლითემატური)	სტუ, ინსტიტუტი ტექნიფორმი	205 გვ.
2	მ.კოპალეიშვილი-მთ.რედ ნ. მახვილაძე თ. ჩუბინიშვილი ლ.ჩობანიანი	ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრუ) №13 (25)	სტუ, ინსტიტუტი ტექნიფორმი	211 გვ.

ფ.წოწკოლაური ვ.თავსელიძე ი.ბედინაშვილი ვ.სარჯველაძე, ნ.ჩხაიძე, მ.ლოღელიანი,	(პოლითემატური)		
ანოტაციები			
<p style="text-align: center;">კრებითი ანოტაციები თემატიკების მიხედვით</p> <p>ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრუ) წარმოადგენს საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების რეფერატების ნაკრებს. ჟურნალი ძირითადად პოლითემატურია. მაგრამ ცალკეული დარგის პუბლიკაციების დიდი რაოდენობის გამო გამოიცემა დარგობრივი თემატური ნომრებიც. 2014 წელს მომზადდა და გამოიცა ორი პოლითემატური ჟურნალი - NN 12 და 13. მე-12 ნომერში რეფერირებულია 461 სამეცნიერო სტატია, ხოლო მე-13 ნომერში – 503.</p> <p>ყოველი ქართული რეფერატული ჟურნალი (ქრუ) მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ტირაჟი 100 ეგზემპლარი. განთავსებულია ინტერნეტში ტექნიფორმის საიტზე.</p>			

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა- ური, ჟურნა- ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. ჩხაიძე, ნ. მახვილაძე, ლ. ლურსმანაშვილი, თ. ჩუბინიშვილი	აბრეშუმის წარ- მოების განვი- თარების ოსტო- რია საქართვე- ლოში; ჟურ. მეცნიერება და ტექნოლოგიები	1 (715)-2014	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	გვ. 120-126
ანოტაციები					
<p>რეზიუმე: სტატიაში გადმოცემულია საქართველოში აბრეშუმის წარმოების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. ცნობილია, რომ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად თუთის ხის ფოთოლი კავკასიაში ბუნებრივად იყო გავრცელებული. ამიტომ, სავარაუდოა, რომ აბრეშუმის ბოჭკოს მიღების საიდუმლოს საქართველოში ძველთაგანვე ფლობდნენ. ეს დასტურდება ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ქართულ ლიტერატურულ წყაროში</p>					

ი. ცურტაველის “შუშანიკის წამებაში” (V ს.), სადაც ნახსენებია “ჭიჭნაუხტის საქმე” (“აბრეშუმის საქმე”), როგორც საქალეო საქმიანობა. შემდგომ საუკუნეებში ცნობილი ქართველი ისტორიკოსები და უცხოელი მოგზაურები ადასტურებენ აბრეშუმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის, როგორც წამყვანი სამეურნეო დარგის, არსებობას საქართველოში. განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა აბრეშუმის წარმოებამ XX საუკუნეში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან აბრეშუმის წარმოება საქართველოში შეჩერდა. აბრეშუმის წარმოების აღდგენა უნდა იყოს დღეს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ამოცანა.

* სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოსხენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ლ. ჩობანიანი, ს. ჩობანიანი, გ. გიორგობიანი	An Algorithmic Solution to the Problem of Compact Vector Summation with an Application to Scheduling Theory	20-24 October, 2014 Third ATLAS South Caucasus Grid&Cloud Computing Workshop, Tbilisi, Georgia,
მოსხენებათა ანოტაციები			
მოცულობითი კალენდარული დაგეგმარების ამოცანა არის დაყვანილი ცნობილი კომპაქტური ვექტორული შეჯამების ამოცანაზე. დამუშავებული ალგორითმის სირთულე არის პოლინომიალური. გაუმჯობესებულია ცდომილების შეფასება.			

***საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პუბლიკაციების სტანდარტიზაციისა და მეცნიერმზომელობითი ანალიზის მიზნით პროგრამული პროდუქტების შექმნა	მ. კოპალეიშვილი	მ. კოპალეიშვილი, ლ. ჩობანიანი, ი. ბედინაშვილი, თ. ბახტაძე
დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)			
<p>პროექტი შესრულებულია სტუ-ს ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის - „ერთად“ მონაწილეობითა და ფინანსური მხარდაჭერით.</p> <p>სამუშაოს მიზანი იყო ტექნიკური უნივერსიტეტში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების მიმართულებებისა და ტენდენციების ანალიზი, სამეცნიერო პერიოდული გამოცემების მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შემდგომში მათი საერთაშორისო საინფორმაციო ქსელებში განთავსების მიზნით.</p> <p>პროექტი ითვალისწინებდა პროგრამული პროცედურების შემუშავებას უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემების იმპაქტ-ფაქტორის განსაზღვრის მიზნით.</p> <p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების შესწავლის შედეგად თითოეული მათგანისათვის განისაზღვრა Web of Science სისტემის ინდექსი და Essential Science Indicators ქვესისტემის კლასიფიკატორი, რაც აუცილებელი პირობაა ავტორიტეტულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში მათ წარსადგენად;</p> <p>სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების საფუძველზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები საქართველოს სამეცნიერო პერიოდული გამოცემების სტანდარტიზაციის ისეთ საკითხებზე, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პერიოდული გამოცემების გაფორმება; • პერიოდული გამოცემების სარჩევი; • გამოცემების და დოკუმენტების რეფერატები; • სტატიების გაფორმება პერიოდულ და სხვა სერიულ გამოცემებში; • ქართული ალფაბეტის ნიშნების ტრანსლიტერაცია ლათინური ალფაბეტის 			

ნიშნებით;

- გამოყენებული ლიტერატურის აღწერის სქემები;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე რეფერატის შედგენის მოთხოვნები და მაგალითები;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერიოდული გამოცემების სტატუსის ამადლების მიზნით რეკომენდებულია მათი ჩართვა საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში Ulrich's Periodicals Directory, შესწავლილი და აღწერილია აღნიშნულ ბაზაში ჩართვის პირობები, მოცემულია განაცხადის შევსების მაგალითი;

განსახდურულია XML-ფაილების სქემები უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების მონაცემთა ბაზის შესაქმნელად;

შემუშავებულია XML-ფაილების შექმნის პროგრამა.

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა

ევროკავშირის Country Profile-ის საქართველოს მეცნიერთა შესახებ მონაცემთა განახლებისათვის რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მოთხოვნით საერთაშორისო ბაზების Scopus და Web of Science საფუძველზე შესწავლილი იქნა საქართველოს მეცნიერთა მიერ 2006-2013 წლებში მაღალი რეიტინგის მქონე უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების სტატისტიკა. დამკვეთს გადაეცა მონაცემები 2006-2013 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა წლებისა და ქალაქების მიხედვით.